თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7817681

ნომერი: AR11129823

თარიღი : 17.02.2026

გაცემის თარიღი : 23.02.2026

გაცნობის თარიღი : 23.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, N 20ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 17 თებერვალს №AR11129823 განცხადებით მომართა თენგიზი ესიავამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 3

თებერვლის №7793740 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებით, №01.18.06.014.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2026 წლის 16 თებერვლის №7810021 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 4127.9 კვ.მ-ის ნაცვლად 4145.9 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1435.3 კვ.მ-ის ნაცვლად 1434.8 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 173.9 კვ.მ-ის ნაცვლად 164.0 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1144.3 კვ.მ-ის ნაცვლად 1144.5 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 180.7 კვ.მ-ის ნაცვლად 182.3 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1103.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1117.7 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 8165.2 კვ.მ-ის ნაცვლად 8189.2 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -6.00 და -3.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული +6.00 და -3.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, ხდება აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 4145.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1434.8 კვ.მ., სარდაფის ფართობად - 164.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1144.5 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 182.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1117.7 კვ.მ., საერთო ფართობად - 8189.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებით შეთანხმებული -6.00 და -3.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 3 თებერვლის №7793740 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.